




ბ ი ს ბ ი ს

### ეიქა მავირობის

საათის იხანს უკან ეწევა ხიცოცხლის მცენი და მოხისხარი,  
ჯერ კი და მის ებრძევის მშვიდობას, ბნელეთი ისევ ხდავ-ყორნის არის  
ზაგრამ ხდავ-ყორნებს მტრედება სძლიერ, წინ გადასწიოს დროს იხარი,  
თენდება ჩერი მშვიდობის დილა და მტრედისფერი არის ცისკარი...

## საქართველო ფინანსები

ახალ, 1952 წლის შეხვედრასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კაპიტალის ტურნირები მიმდინარეობდა წარმომადგენლებში შეასრულეს საახალწლო სიმღერები. ეს სიმღერები ჩაინარის ფინანსურულებზე და მოხდა მათი გაცვლა-გამოცვლა სახელმწიფო შოლგაწევთა შორის. გათავსებთ ამ ფინანსურულების რამდენიმე ნიმუშს:



ნამ. გ. ლომიძისა



ჯონ ბელის ახალი... ვაიმა წელი!

# „ტრადიცია“

გვიან შეაღო სახლის კარები გორგიმ, ცოტა ხანს შე-  
დგა და ოთას თვალი მიმოაელო. გაუკირდა, რომ ბავშვებს  
ჯერ არ ეძინათ. უმცროს ბიჭს მელნით მოთხერილი თითებით  
უჯრებიან რვეულის ფურცელზე რაღაც ბატიფეხური გამოვ-  
ყავდა, უფროსს მაგიდაზე ფერადი ფანქები გაეშალა და სა-  
ხატა ქალალზე თხაფეხებზე შედგმულ სახლსა ხატავდა. სა-  
ხლის კედლები ფანჯრებით აევსო და ახლა იმაზე ფიქრობდა  
— კარები საღლა დაეტანებინა.

სავარებელში მისვენებულიყო ცოლი და ტილოს თეთრ  
ჯერზე გულმოლგინედ ქარგავდა მილიმარ ქალს, რომელსაც  
ერთ ხელში ყურძნით საესე კალათა ეჭირა, ხოლო მეორე ხელ-  
ში — მტევნებდახუნდლული ჩხა.

დედის ფეხებთან ხალიჩაზე მოთამაშე, კუბიკებსა და  
თოჯინებში ჩაფლული ლამაზლენტიანი პატარა გოგონა მო-  
წყდა ადგილს და მამისენ გაექანა. გიორგიმ ხელში იტაცა  
ბავშვი, ჩაქოცნა, ცხვირითა და ულვაშებით ყელში შეულიტინა  
და აახარხარა. შემდეგ მივიდა და ბიჭებს დახედა.

— დედაბუდიანად სამხატვრო იქადემია არ გაუხსნიათ  
სახლში, რა არი ეგ, ბიჭო?

უმცროსმა ცხვირისახოცით მოიწმინდა ცხვირი და ირიბად  
ახედა მამას, ხოლო უფროსმა — თავისი სახლებს?

— რა ადგილს უკეთებთ ხოლმე კარებს, მამი, სახლებს?

— კარების ადგილას, შვილო. ეე, შენ ბარებ მრი ფან-  
ჯარა მაინც უნდა ამოქმოლო, რომ კარები შეაბა.

გამობრუნდა გიორგი და პიანინოს მიუჯდა. ბავშვი კალ-  
თაში ჩაისვა, ახადა სახურავი, დიდრონ თათებში მოიქცია  
ბავშვის სათუთი ხელები და კლავიშებს ბრახუნი აუტეხა.

ქმრის დაგვიანებით გულმოსულმა მართამ მოქურუხებუ-  
ლი თვალებით გახედა.

— ეგლა გაქლდა, რომ ამ სიბერის დროს გადარეული-  
ყავი... არ გესმის, კაცო? გააჩერე ეგ პიანინო, წისქვილში  
ხომ არა გვონია თავი, დაკვრა მაინც იცოდე, შე უბედურო!

გიორგიმ დახურა პიანინო, ბავშვი დასვა და ცოლისენ  
ლილინით გაემართა: „ქალო ხაბარდიანო, ჩითის კაბა გა-  
ცვია...“ აჲ, ჩითი როგორ გეკადრება: — „ქალო ხაბარდიანო,  
„ლუქსის“ კაბა გაცვია“. — გადაეხვია გიორგი მეულლეს.

მართას ლვინის სუნი ეცა თუ არა, მაშინვე ხელი ჰერა  
ქმარს.

— იქით დამეკარევე, თორებ ამ ნემსს თვალებში გატა-  
ქებ! სად ეშმაკებში ეხირე აქამდის, სად გამოთვერი?

— რა ბევრი მე მაქვს დალეული, დედაკაცო! მიხას ბიჭი  
ტყილო და მთელი ჩენი კალატონები წაგვიყვანა. არც ეგრე  
გვიანია, როგორც შენა გვონია.

— გასულელდი, კაცო? სამუშაო ხომ არ მიატოვე?

— ვინ ჰერაზე მყოფი მიატოვებს სამუშაოს, დედაკაცო.  
მუშაობა რომ დამთავრდა, მაშინ გაიუსვით, მაგრამ ეგ რად  
გინდა, მართავ, პირდაპირ მშერს მაგ ხალხის მუშაობა, აი,  
ვერის ხიდა რომ აკეთებენ, პაპაპაპაპა, რა ვეფხვივით ბი-  
ქები ყოფილან. დღეს ერთი ექსეკატორი კიდევ მიემატა და  
რად გინდა ლაპარავი, რომ მაგრად გაუტიეს.

— შენ ხომ არ გაგიუდი, კაცო, თქვენს საკუთარ მშენე-  
ბლობას თვენახევარსაც არა მონია მორჩეთ და სხვის სამუ-  
შობებზე დაეთხრევი? რამდენიც გინდა ცეცხლე ეგ ლვინო, მაგ-  
რამ არ გამავინო. სადმე ხეტიალი, თორემ მამაჩემსა აქვს  
ცხონება, მე შენ შავი დღე დაგაუყინო.

— ეე, ახლა კი აუშვა თავისებურად! ეგ არი, შენს მეტი  
არავინ მუშაობს სამ დაზღაზე, რომ ქმარს გენაცვალეს მეტს  
არას ეუბნება, მაგრამ დედაკაცი ხარ, რა გელაპარაკო!

— აი, დედალვთისას გაგიწყრომებ, დაწექი ახლა, და-  
ძილებუშე, რომ დილაზე აღრე აღგე, თორემ სახლში აღარ  
დამენახო!

გიორგი უფრო მაგარ ჭექა-ჭუხილს ელოდა ლვინის და-  
ლევის გამო, მაგრამ ლამებ მშვიდობიანად ჩაიარა.

მეორე დღეს ბინდისას მოვიდა სახლში ცოლი ახალ გა-  
ზეთს კითხულობდა, გოგონა თოჯინებთან ერთობოდა, ხოლო  
ბიჭებს ბელადის სურათევეშ გაქრულ მსოფლიო რუკასთან  
სკამები მიედგათ და რაღაცას ჩაჰეირიტებდნენ.

— ნამი, სუეცის არხი ეს არ არი?

— ჰო, შვილო!

— აკი გითხარი, ეგ პანამის არხია-მეთქი, შე სულელო.  
პატარამ დამარცხებულად ცნო თავი და ხელის გულით  
ცხვირი მოისრისა.

— ინგლისელებმა გათხარეს მართლა, მამი?

— ჰო, შვილო, საერთოდ ინგლისელები ბევრს თხრიან  
და აპა თუ კატა არ გამოთხარონ!

— კატა ქამს ინგლისელებს, მამიკო? — ულვაშებს უწეშავს  
პატარა გოგონა.

— არა, შვილო, კატა თაგვებსა ჭამს.

გიორგი ახლოს მიუჯდა ცოლს.

— ორთაჭალაში რა უქნიათ, დედაკაცო, ფეხსაცმლის  
ფაბრიკასთან მტევრის ორივე ნაპირზე კედლები ამოუყა-  
ნიათ 300 არაგველის ხიდამდე. ფიტქულტურის ინსტიტუტთან  
და კრწანისისენ რომ მტევრის ტოტები მიღიოდა, სულ და-  
უწყვეტიათ და იმდენი მასალა მიუზიდავთ ელსადგურის ასა-  
შენებლად, რომ ნაპირზე ტევა აღიარ არი.

მართამ გაავებული თვალები მიაპყრო ქმარს, უცეი.  
რა, უცეირია და მერე ისევ გაზეთს მიუბრუნდა. გიორგის გა-  
უკირდა, რომ ცოლი გაჩუმდა.

იმ ღამეს ცა მოწმენდილი იყო და არ უქუნია.

მესამე ღამეს გიორგი კარებშივე შედგა, გახედა ცოლს  
და ერთი მძიმედ ამოიხენება.

— რა ვნახე, დედაკაცო, რა ვნახე: დღეს საბურთალოზე  
მიმავალ აღმართზე კინაღამ მანქანებმა ქალი არ გაიტანეს,  
აქამდის გინახავ იქითქენ აგეთი მოძრაობა მანქანებისა?

სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო გიორგიმ, რომ  
ოთახში მეხი გაეარდა.

— ახლა საბურთალოზე დაიწყე წანწალი, შე დასამიწე-  
ბელო, ახლა იქ დაიწყე? კიდეც არ მიკვირდა, რომ კარგა  
ხანია გაზეთში ვეღარა ვნახე შენი მიღრუცილი ცხვირი და ეს  
ერთი კვირაა, არც რადიოს უთქვაში რამე შენზე. ქალი არ  
ვიყო, თუ ხეალ არ დავეთხოვე ერთი საათით მაინც და ის  
თქვენი ინერცირია თუ მშენებლობის უფროსი — მაგრად არ  
გაგვითარო. გაგივიათ ხელონის ეგრე მიშვება ამ გახურებულ  
მუშაობის ღრის? რა დაგატანტალებს ვერის ხილზე და ორთა-  
ჭალაში, ან საბურთალოზე და ათას ჯანდაბაში, შე პირზე,  
შენა?

— შენ ხომ არ გადაირიე, დედაკაცო? ნეტა არ მინდა  
იქ მოსული დაგინახო, — ეგლა მაკლია დაზეგა გააცდინო. საბუ-  
რთალოზე რა მინდოდა, ან სხვაგან, რას ამბობ შენა?


— ახლა არა თქვა, ხალხო, რომ იფიციას, კიდეცა!

— რას ვიფიცავ, რას ამბობ, დედაკაცო, როდის იყო  
სხვა ღრის გატყუებდი?

— მაშ საიდან იცი ქალაქის ამბები, შე ცეცხლოკიდე-  
ბულონ!

— შენ თორმეტი სართული დაბალი ხომ არა გვონია?  
მშენებლობას გამთავრებთ, სახლს სახურავს გახურავთ და  
იქიდან მთელი ქალაქი ხელის გულივით მოჩანს.

**ლადო მრელაზვილი**



# სახალხო მუსიკა

ცენტრალური  
გიგანტი



კვებით, ვისუყ გმირით მომიტა  
ნდიდან წლებებ გაუტეს დეო, —  
მან, პეტერებ უნდა შესეს  
ახდენ ჩის საღლევნებლი!  
მან, პირებით ხახათ მდებარ  
უთხას მრავალმხრი,  
და ღალაურა ჩინინ გმირშის  
მცველი ყველა არმიოდი!  
გონიოდან ჩისავის დეო,  
სულუს და დეგოთ სასახლიოდ,  
რომ მჟღალის დიღა ყველას  
ამღრიბებე გულით გამზრიოთ...  
გაისამინა: მა სულუსზე  
მრავა დანგის მოღალეობა:  
ღომი რომ უკაუკა, მაგალითად,  
ანგრი ბარაზინივატა,  
ხოლო ვახტანგ ჭავჭავაძეს  
საცეკვაოდ უზენან გურა,  
ხორავას კი ხელი აქცერია  
ჭამი—ლვანით აქცერია,  
დგას აქ, როგორც სასაკარე,  
მართაც „პა ყამბხა“,  
კვერჭით უზის შრომის გმირი

თვით ჩირილიკანია!  
არაყიშე უდიდეს სულუსი  
იცნიოთ, სხვან განსხვავებით,  
სულაიტა კა თავს წერა,  
თვევის ოქროს საკველევით!  
უფრო მარტინის მასმინის  
ფუნქნებს ბრინ ვაცეკაურად,  
ხოლო უნი ფარებ  
სულუსზე უს სულუსი!  
დევა სტევა არმონებ, —  
რუსთველი შევდია!  
თუნი ქართველობისა  
მრავაც დამინიჭებიონ!  
ღარისებ კარისებრის  
ღარისებ კა უ აჯგას  
თამაჭალა და, —  
რინ ყანი ის სულუსი,  
(არ გეგონი ჩირილი),  
ჩინ კურები ს მუშებრი,  
ვალი ტური ტურით ამერიბს!  
(ზუმცა ჩინ თავი ან სვამპს,  
მხრიოდ ჩირილი ლანგარიბს!),  
გამომაღა მა ცედვი, —

ამ გოჭს მისი დახმარებით  
კველის ქარისგად ერისათვი!  
აქ, ეცეც ნატრიტიოდ  
კეცან და გაზარდისი, —  
არ მერახა, ახა ენაზე  
ჩიხამი კორა ტასტორისისტი!  
კარაბერს პარი მოჰყავს,  
კეცოველს კი — სტელანტომა,  
გაინკვებენ მომავით,  
მათ მარტივს თუ ენობა.  
თვალერეიმზ კინა მინტი  
ჩიმონირისა მ ჩიტენს ნატოს,  
მინპა რომ უჭირს თვალი,  
ერთხელ ცალკე შეართოს!  
მე აქა ვარ, სასახლიდ  
მე ა მომის თავზე რუდი,  
ისე, როგორიც ჩირილი,  
მე ნამოშედა მესტიონერი.  
ტუნდა ქართველით თუ უკი დატკიით,  
რაღა არის ჩირილენა, —  
გვერდით მიზის ჩიქომავა,  
შეუძღილი მომენტას ენა!..

Օմարտութեա, բռնձշալով  
ծուղութեա քանձութեա

III \*)

მილიციის მუშაგება ასი მანეთის ფა-  
სიანი ქალალდი მიაწოდა ბანკის თანა-  
შრომელს. მან რამდენჯერმე შეატრიალ-  
შემოატრიალა ეს ქალალდი, წალმა-უკულ-  
მა გასინჯა, სინათლეზე გახედა და ოპე-  
რაცია მშვიდად ჩაატარო.

რა იცოდა მილიციის მუშაქმა, რომ  
ბიძინა გარეაშიძემ ისე უბრალოდ წაგ-  
ლიჯა სახელმწიფოს ორას თოთხმოვი ათა-  
სი მანეთი, როგორც მატარებლიდან ხე-  
ლი გადავეყოთ და ახლო მდგარი ხი-  
დან ჭრამი წაგერწყვიტოთ!

უფრო მეტი: არამცთუ მილიკიელში  
არ იცოდა, მგონი ჯერ თქვენთვისაც არ  
შემიტყობინებია, რომ როცა ბიძინა ზა-  
რაშიძე ამ სართვისა პოერაციას ატარებ-  
და, საქ. სსრ მინისტროთ საბჭოს მიერ  
მოხსნილი იყო „თბილკვებვაჭრობის“  
სისტემიდან და ამ დაწესებულებების  
ხელმძღვანელის პ. ჯოუხაძის ხელის მო-  
წერითა და... ხელის დაფარებით „კამეჩის  
ნებსას ყანეში ადგრენდა“.

ცოტა ხნის შემდეგ კი პ. ჯმუხაძემ  
საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახელ-  
ზე გაგზავნა თხოვნა-შიმაროვა, სადაც  
ბიძინა შარაშიძეს „მამა ბერამის“ ბატ-  
ქნად ასაღებდა და სამუშაოზე მის აღ-  
დგენისა მოითხოვდა. არსაიდან ხმა, არ-  
სით ძახილი. ვაჭრობის სამინისტროდან  
დასტური არ ჰოვიდა. „ბატქანი“ კი  
ბლავდა, „დედას“ შესტიროდა, საჭმელს  
მოითხოვდა. (მერე და ჩა მადა ჰქონდა,  
იმ მამაცხონებულს!). „დედიკომ“ შეიბრა-  
ლა „საცოდავი ბატქანი“ და სამუშაოზე  
ალადგინა.

ნუ გამამტყუნებ მყითხველო, თუ ასეთ-  
მა ზღაპრულმა ამბებმა ზღაპრის გუნება-  
ზე დამაყენა! თუმცა, ზღაპრია, მაშ რა  
ღოზანაა, როცა მკვდრეთით აღმდგარი  
ბელტიყლაპია კვლავ აგრძელებს ბელტე-  
ბის ყლაპვას: ბ. შარიაშიძემ ცხრას სა-  
მოცი ცალი დამტერეული ბოთლი ჩა-  
აწყო მაკარონის ყუთებში და სკურის  
გზას გაუყენა.

ბანქში კი „უტყუარი საბუთები“ წარმოდგინა, თითქოს სკურისათვის 25,000 ცალი ბოთლი გაევზავნოს. აქაც იგრვე ხელმოწერები და იგრვე ისტორია: ბიძინა შარაშიძე უკვე მოხსნილია სამუშაო-დან, პასუხისმგებაშია მიკუმული და ამ ღრმოს ახერხებს ახალი ოპერაციის ჩიტარებას...

(„5016806“ 400406 გასაღვებილან)

საქვის გითარების გამო ერთხელ კი-  
დევ დამტკირდება ზღაპრის გამოყენება. მოდით იმ სარკეს შივმართოთ, ყველას-  
თვის ცნობილმა შეჟოუნახვება რომ ჩაი-  
ხედა, როცა მისთვის თავგაწირულ სამ-  
ძმას, ქმრობის სამ კანდიდატს ათვალიე-  
რებდა.

ბაქო... როსტოვი... ხარკოვი... კიე-  
ვი... ბოსკოვი... ჩენი სამაყუ დედა-  
ქალაქი! შეხედეთ ამ თვალუწყდენელი  
სიგრძის ქუჩებს. რა ჩემი მოძრაობაა,  
რა ფუსტუსია! მაგრამ ეს ვინ არის დი-  
შიტროვის შესახვევის № 13 სახლიდან  
რომ გამოვიდა? ისე მიაბიჯებს, ნამდვი-  
ლი დარღმანდია.

აი, მას ვიღოც აედევნა.

— სულიერ, შენ გვიხდა მე ფულსა  
ვწრი?

— რაზე შეუბინები?

— მოიცა... ეგ რომელია? ხასიათი? აღმა  
დამაცდი, შე კაი კაცო? გაკეთდება...



ბოლოში მოთავსებული პიროვნება

განლევო მ. რაბინოვიჩი

## ნიანგის უოთო-ათელი

იგი რესტორანში შევიდა. მუსიკა  
უქრავს. დარღიმანი ალექსილ გუნდა-  
ზეა. ერთი ბოთლი შამპანური მოითხო-  
ვა. ჟიქა დაცალა. მუსიკას ჩუმი სტერნა  
ააყოლა და ფიქრობს... „საღაც არის  
კოსტია მოვა და ორმოკლათი ათას  
ძანეთს მოიტანს. ცხოვრება ასეა, სუ-  
ლელები აბნევენ, კევიანები ჰქონეფენ!..  
მაგრამ ეს ვინ არის? პროფესიონი?!

დარღიმანდი უკრად დაპატარავდა,  
ისეუბა, ბოთლში ჩახტა. იცინის. მოდი,  
პრეკურორო, თუ ბიჭი ხარ, და ბოთლი-  
დან ამოიყვანე! ბოთლში ჩამტეარი დარ-  
ღიმანდი იქრისჭება, იცინის, თვალებს აძ-  
რიალებს... მაგრამ მოიცათ, ეს ვინა ყო-  
ფილა... ნაცნობი სახეა! შეხვდეთ, ეს ხომ  
ბორჯომელი მიშაა, ბოთლების გმირი —  
ჩაბინოვიჩი!

3. Հրայրական ծոտությունը մուսավորության  
դա սահմանադրության լուսաբանությունը.

რაბინოვიჩს სული შეეხუთა და გა-  
მოეღვიძა. მუსიკის ხნაზე ჩასძინებოდა.  
მაინც დამაინც არ გაჰსარებია ასეთი სა-  
შინელებიდან თავის დაღწევა. გამოლვი-  
ძებულს მართლაც დასდეომოდა თავზე  
საბჭოთა მართლძალულების წარმომა-  
დებული.

სე თავდება (უფრო სწორად— იწყება) ეს არასასიამოვნო ისტორია, რომელიც ჩემს მოთხოვნაში ხეთიოდე მოქმედი პირით განისაზღვრება. მაგრამ სხვა, პროცესუალტურის მიერ დასამატებელ გმირების გარდა ცუდი არ იქნება, თუ კვლავ გავიხსენებ ა. დომორჯვინიძეს, რომელიც მატარებელმა ისე უცნაურად გადასრისა, რომ რელს არც ერთი წვეთი სისხლი არ მისცებია.

დიაბ, დობორჯვენიძე ახალდაბის სა-  
დგურთან ნახეს, „მატარებელს“ თავი მო-  
ექრია, რელს არც ერთი წვეთი სისხლი  
არ ეცხო. არც თავი დაზიანებოდა, არც  
ტანი. ჯიბეში პაპიროსები და არაყი უნა-  
ხეს. იგი პაპიროსს არ სწევდა, არაყს არ  
სვამდა. რკინიგზის მიღლიციამ ყოველგვა-  
რი გამოძიების გარეშე შეადგინა უსულ-  
გულო ოქმი, თითქოს დაზარალებულს  
თვითმკარგობისათვის მიემართოს.

სხვა რამ ხომ არ არის მისი სიკედი-  
ლის შინებზი? რაბინოვის ხომ არ დას-  
ჭირდა შესაიღუმლის თავიდან მომო-  
რება?

მომზდარი ფაქტების ჟუსტად დადგენა, სახელმწიფო თანხების დამტაცებელთა უკლებლივ გამონახვა და ნათელი საქმის აღნევა-გაპიანურებით დამაშავეთა ხელის შეძლებების დასჯა პროკურორულის მიერთოთ.

3. 0816078030

\*) ପ୍ରାଚୀକାରୀଙ୍କୁଣ୍ଡି. ନଂ. „ନିରାନ୍ତଗ ନଂନେ 22 ଓ 23.

# მოკითხვითა და ნახვის ნატურით

გურჯაანის საიონის ხოც. ზანდის პოლიტიკური განვითარების  
უზილ თავმჯდომარეს იოსევა განიშავილს

ჩემი სახალწო სალამი, ყურის ძირში მყოფო და სა-  
ნახავად დღემდე სანატურელო იოსებ!

მართალია ვერაფერი მექელე ვარ, მაგრამ რა ვქნა, შენი  
ბრალია, რა ხანია დაგეძებ, მინდა რაღაც გვითხო და ახლაც  
შემთხვევით მოგაგენი. არ გაგიკვირდეს და შენი მისამართის  
მოქებნა იმიტომ გამოძნელდა, ორმ იქ გვითხულობდი, სადაც  
უნდა ნამდვილად ბრძანდებოდე, — საპატიმროში.

მაგრამ „ბედის“ თურმე თავისი ყოვლის შემძლე კალთა  
გადაუფარებია და ბების წყალმის დაბლართულ საქმეები-  
დის კიკუინასავით გამომძერალხარ. რაკი შენი კარგად ყოვნის  
ამბავი შევიტყვე, სახლში მოგაეთხე. მაგრამ გამოიჩეა, რომ  
კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოვნის დროს ორი სახლი  
აგრძენებია და, აბა, რომლის კარებზე მედარაჯა.

ბოლოს კი, მოლი და ნუ გაგეცინება, საახალწლოდ ლვი-  
ნო დამჭირდა და შემთხვევით, აგრ აქვე, ყურის ძირში მოგა-  
გენი: თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, ლვინის წერტის გამ-  
გედ მოწყობილხარ!

მახსოვს, ჩემი იოსებ, გალმა-გამოღმა რომ ორ-ორსარ-  
თულიან სახლს აშენებდი, კოლმეურნეობას 25 კუბმეტრი მა-  
სალა დააკლდა. ამას ზედ 36.000 მან. ფული დაემატა და საკუ-  
თარი „პობედით“ აქეთ-იქით დაქმრდი, რომ თავს დატეხი-  
ლი „საშინელი“ რევიზიის ბრძევალებიდან როგორმე გამომძერა-  
ლიყავი.

თავმჯდომარეობიდან ჩაჯდომარეობას რომ იოლად გა-  
დარჩი, რუსეთისკენ გაგისეირნია და როგორც შენი მტრებში  
ჩურჩულებენ, კოლმეურნეობის ლვინოში იღებულ 80.000 მანე-  
თისთვის კბილი გაგიკრის. შემდევ კი, თურმე, მევალების  
სირცევილით რომ დაიწვი, თბილისში გაღმოიხვეწე, ლვინის  
სარდაფში მუშაობა იკადრე და ძელი ვალების გასასტუმრებ-  
ლად კვლავ კოლმეურნეთა ლვინის ჰყიდი და ახალ ვალებს  
იდებ.

აფსუს იოსებ! კაცი ფაშასავით ცხოვრობდი, ნამგლის  
მაგივრად ყანწს ატრიალებდი და შენმა დაუკირებელობამ  
იქმდე მზიუყვანა, რომ რაღაცა ფულების შოვნის გულისთვის  
თბილისში გადმოიხვეწე!

ჩემი სალამი და მოკითხვა გადაეცი შენს ყოფილ საწყო-  
ბის გამგეს, შენთან ერთაც ჩატარებულ „საქმიანობაში“ რომ  
260 კილოგრამი ვენახის მავთული და 100 ვედრო ლვინო შე-  
მოეხარჯა. გიორგი ნაბიჭვირიშვილზე გელაპარაკები, იმ გიორ-  
გიზე, რომელიც კოლმეურნეობიდან წასვლა-გადარჩენის შემ-  
დეგ, სოფ. ჭანდრის ლვინო-ურნენის დამზადების პუნქტის სა-  
წყობის გამგედ იმიტომ გაამწესეს, რომ კოლმეურნეობის სა-  
წყობში ყოფნის დროს 900 კილოგრამი ჭაჭა მოიპარა და ამით  
ლვინო-ურნენის „დიდი სპეციალისტის“ სახელი დაიმკვიდრა...


ისიც შევიტყვე, ჩემი იოსებ, რომ ამ გიორგი ნაბიჭვირი-  
შვილს შენზე უკეთესი სახლი აუშენებია. ერთი სიტყვით, ამა-  
საც შენ დაუჩაგრიხიხარ. მაგრამ გულს ნუ გაიტე, მჯობნის  
მჯობი არ დაილევა; ნაბიჭვირშვილს ხომ თქვენნა ყოფილმა  
ბუხალტერმა, იმისმა სეხნიამ, გიორგი ქოროლლიშვილმა აჯო-  
ბა, — ისეთი სახლი ააშენა, ზოგიერთ თბილისურ სახლს რომ  
მასთან გაჩერება შერცხება...

ერთი სიტყვით, ბუხალტერმაც შენ გაჯობა და საწყო-  
ბის გამგემაც. შენ კი, შენი დაუფიქრებლობით, ორი სახლის  
პატრონს ციფ სარდაფში ამოგაყოფინეს თავი და აქამდე თუ  
ლვინოს თვითონ სვამდი, ახლა სხვას ასმევ!..

ახია შენზე!..

*ნიაზი*

ნახ. დონიხა



## 6. გაიგაროვს

ამას წინათ გამოქვეყნდა 6. გრიბაჩოვის იდეურად და მხატვრუ-  
ლად მიუღებელი ლექსი „დავა“ რომელიც არარაც და მყინვარს  
შევხება.

კავკასიის მაღარ მთებში  
თავი წარმოიღგინე, —  
მაგრამ ჩანგი ვერ ააწყე  
და თითები იტკინე.  
კავკასიურ მწვადს თუ ეტრთი,  
ბადრიძანს და საზამთროს,  
„არაგვშიაც“ მოგართმევენ,  
მთებში ჩატომ კარგავ ღროს!?  
მთები, აღბათ, სიზმრად ნახე,  
და არ გემახსოვრება,  
რომ გმირულ შრომით იქაც  
სჩერეფს ახარი ცხოვრება!  
დექსით ცირი ჩაღ დასწამე  
მყინვარსა და არარატს! —  
დექსს მყინვარი ბოდვად ჩათვლის,  
არარატი — არარად!

გოგოთურ მისამართი

რედაქციის დარბაზი გრიბაჩოვის კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილის. Сатирико-юмористический журнал „Нианг“. Редакция и редактор: Г. Абашидзе, А. Белиашишвили,

№ 42. ფ. 28/XII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 3106. გამოც. № 24. ტერ. 15.000. ფ. 06636.

52-12  
საქართველოს კულტურული დაწყების განვითარების მინისტრის მიერ გამოცემი

1957

სახელი




1959 საბოლოო განვითარების მინისტრის მიერ გამოცემი

1959 საბოლოო განვითარების მინისტრის მიერ გამოცემი



1954 საბოლოო განვითარების მინისტრის მიერ გამოცემი



— ნება ვიციდე ჩვენთვი წელს 1952 წელი დადგინდა თუ 1949, 1950, 1957 წელი? ნუთუ ვე ჩამოგრძელოთ ცხოველებას!..  
— არა, ბები, ვერ გარეუბნელ გვის სომ იყდავ.  
ვა, მთლიან 1936 წლამდე მოაღწია...



ნამ. ი. ქოქაშვილის